



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 53

2016 წლის 23 ივნისი

ხაშური



საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონი“- ში გამარჯვებული მოსწავლისათვის ნოუთბუქის (HP 250 G4 (M9S73EA)) გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონი“-ში გამარჯვებული მოსწავლისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შეძენილ იქნა ერთი ცალი ნოუთბუქი (HP 250 G4 (M9S73EA)) რომლის შესაბამისი პირისთვის გადაცემა საჭიროებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 524-ე მუხლის და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსის 2016 წლის 1 ივნისის №2316/09 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი ერთი ცალი ნოუთბუქი (HP 250 G4 (M9S73EA)) სარგებლობის უფლებით, ჩუქების ფორმით, უვადოდ გადასცეს „ეტალონი“-ში გამარჯვებულ მოსწავლეს.
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე